ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2719556

ნომერი: AR1420755

თარიღი : 11.07.2016

გაცემის თარიღი : 18.07.2016

გაცნობის თარიღი : 18.07.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გომბორი , N 46/9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ბარბაქაძე პ/ნ 01030007109
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 40

ნომენკლატურა :

- I კლასი
- გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ AR1380535 განცხადებაზე ატვირთული ფოტოსურათიდან ირკვევა, რომ შენობას არ გააჩნია სახურავი და რეალური სიტუაციით

ნახევრად დემონტირებულია, შესაბამისად აღნიშნულ შენობაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, დროებითი გამაგრებითაც ცდება I კლასს და განეკუთვნება ისეთი სახისრეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას.

თუმცა, თქვენ დაინტერესბაში არსბეულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.12.13.045.065) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მე-16 მუხლის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1 - ის განსაზღვრული პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი 200კვ.მ, მინიმალური სიგანე 9 მ., მინიმალური სიღრმე 15 მ. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის პარამეტრები არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულს, შესაბამისად მისი სამშენებლოდ განვითარება არ არის შესაძლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.